საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№352 2017 წლის 1 დეკემბერი ქ. თბილისი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) ხელშემკვრელი სახელმწიფოების ასამბლეის მე-16 სესიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

1. დამტკიცდეს 2017 წლის 4-12 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში (ქ. ნიუ-იორკში) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) ხელშემკვრელი სახელმწიფოების ასამბლეის მე-16 სესიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობა, დანართის შესაბამისად.

2. დელეგაციის წევრთა მივლინების ხარჯები აანაზღაურონ შესაბამისმა უწყებებმა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2017 წლის 3 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2017 წლის 1 დეკემბრის
№ 352 ბრძანების
დანართი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) ხელშემკვრელი სახელმწიფოების ასამბლეის მე-16 სესიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტის შესახებ

2017 წლის 4-12 დეკემბერი

დელეგაციის სია:

* გოჩა ლორთქიფანიძე	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, დელეგაციის ხელმძღვანელი;
* ხათუნა თოთლაძე	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
* ბექა ძამაშვილი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი;
* ირინე ბართაია	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი;
** მარიამ სხილაძე	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

** ლევან კაკაურიძე	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მარკეტინგის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

* მიემგზავრებიან 2017 წლის 3 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით.
** მიემგზავრებიან 2017 წლის 3 დეკემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით.